სოციალური საკითხები

ზნეობრივი სტანდარტები და სატელევიზიო მედიის რეგულირების პრიორიტეტები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში

გიორგი ყიფიანი

ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

გამოხატვის თავისუფლების დაცვა ქართული საზოგადოებისთვის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს წარმოადგენს. ამიტომ საქართველოში ხშირია დისკუსია, შეიძლება თუ არა იზღუდებოდეს გამოხატვის თავისუფლება სამაუწყებლო სივრცეში სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე, კერძოდ, საზოგადოებრივი მორალის ნორმების, არასრულწლოვანთა ფსიქიკის თუ რელიგიური გრძნობების დაცვის მიზნით, მით უმეტეს, რომ ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ტრადიციულ, კონსერვატიულ და რელიგიურ ღირებულებათა დამცველად მიიჩნევს თავს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლსა და ევროპული კონვენციის მე-10 მუხლში ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული, რომ გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს საზოგადოებრივი მორალის დაცვის მიზნით (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948). ამ ნაშრომში კვლევის საკითხს წარმოადგენს შედარება, თუ როგორ ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სატელევიზიო მაუწყებლობაში გამოხატვის თავისუფლების რეგულირება საზოგადოებრივი მორალის სტანდარტებთან მიმართებაში. მაუწყებლობაში მორალური სტანდარტების გათვალისწინების ძირითადი მიზანი არასრულწლოვანთა დაცვაა დღის საათებში, რათა აცილებულ იქნას მათ ფსიქიკაზე შესაძლო მავნე ზემოქმედება.

საყურადღებოა, რომ როგორც ქართული ჟურნალისტიკა, ასევე ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო სექტორის ორგანიზაციები გამოხატვის თავისუფლების ამერიკულ სტანდარტზე ახდენს სწორებას, რადგან ევროპული ნაკლებმნიშვნელოვნად მიაჩნიათ (Proposed Georgian Defamation.. 2019). საკითხის მნიშვნელობას ისიც ამძაფრებს, რომ საქართველო ევროპულ სივრცეში გაერთიანებასთან დაკავშირებით გარკვეულ ვალდებულებებს იღებს, რაც, პირველ რიგში, ევროპულ კანონმდებლობას-

თან ჰარმონიზაციას გულისხმობს. სამაუწყებლო მედიის მარეგულირებელი კომისია შესაბამისად ცდილობს, შინაარსობრივი რეგულირების ევროპული სტანდარტები დანერგოს საქართველოში. შედეგად, უკვე 10 წელზე მეტია საქართველოში მძაფრ კამათს იწვევს, თუ რამდენად შეიძლება ჩაერიოს სახელმწიფო ან სახელმწიფოს დავალებით შერჩეული დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო – კომუნიკაციების კომისია – მაუწყებლობის შინაარსობრივ რეგულირებაში (ქავთარაძე, 2019).

საქართველოში სამაუწყებლო მედიის შინაარსობრივი რეგულირების საკითხები მხოლოდ მაუწყებლების თვითრეგულირებას არის მინდობილი, როდესაც სხვა ქვეყნებში მოქმედებს სახელმწიფო რეგულირება ან თანარეგულირება სახელმწიფოს ჩარევით იმ შემთხვევაში, თუ თვითრეგულირება არაეფექტურია. 2014 წლიდან ეროვნული კომუნიკაციების კომისიის მომხმარებელთა უფლებების დამცველი – ყოველწლიურ ანგარიშებში (მომხმარებელთა ინტერესების დამცველის საქმიანობის ანგარიშები, 2017:50), ხოლო 2018 წლიდან კომუნიკაციების კომისია აქტიურად მოითხოვს ცვლილებას მაუწყებლობის კანონში, რომ მარეგულირებელ ორგანოს შეეძლოს რეგულირებაში მონაწილეობის მიღება და სანქციების დაკისრება, რადგან თვითრეგულირების მექანიზმი არაეფექტურია (კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის ანგარიში, 2019:62), იმავეს მოითხოვს ევროპის საბჭოს დირექტივაც, რასაც კომუნიკაციის კომისიის შეკვეთით ჩატარებული აუდიტის დასკვნაც მეტყველებს (Gap Analysis, 2019:30). მარეგულირებელი კომისიისა და მედიის უფლებათა დამცველთა შორის კამათში სამაუწყებლო მედიის თვითრეგულირების შენარჩუნების მომხრეთა ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს წარმოადგენს, რომ გამოხატვის თავისუფლებას საქართველოში საფრთხე ემუქრება, სახეზეა უკუსვლა, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეგულირება, მედიის კონტენტში ჩარევა პირდაპირი ცენზურის საფრთხეს ნიშნავს (ქავთარაძე, 2019).

შასურველია, მაუწყებლობაში საზოგადოებრივი მორალის სტანდარტების გათვალისწინების პოლიტიკის ცვლილება განვიხილოთ ბოლო 15 წლის მანძილზე როგორც აშშ-ში, ასევე საქართველოში, რადგან ეს პერიოდი კარგად ახასიათებს პოლიტიკის ტენდენციებს ორივე ქვეყანაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ის მუხლები, რომლებიც საზოგადოებრივ მორალს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნევს. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში FCC v. Pacifica Found განმარტებულია, რომ მაუწყებლობაში ყველაზე მეტადაა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა საჭირო (Holohan, 2005:342), რაც შესაძლებლობას აძლევს აშშ-ის ხელისუფლებას, გამოიყენოს სარედაქციო კონტროლის ის

ფორმები, რომლებიც ბეჭდურ მედიაში აკრძალულია. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საქმეზე Red Lion Broadcasting Co. v. FCC მიხედვით, მაუწყებლობის შემთხვევაში უმთავრესია მაყურებელთა და მსმენელთა და არა მაუწყებლების ინტერესები (Holohan 2005:342).

აშშ-ის ფედერალური კომუნიკაციების კომისია მაუწყებლობის მარეგულირებელ დამოუკიდებელ სამთავრობო სააგენტოს წარმოადგენს, რომელსაც მედიის შინაარსობრივი რეგულირებაც ეკისრება, მსგავსი სტატუსი ჰქონდა 2006 წლამდე საქართველოში ეროვნულ კომუნიკაციების კომისიასაც. აშშ-ის კომუნიკაციების კომისიას ევალება უხამსი(obscene) ტრანსლირების საერთოდ აკრძალვა და უზნეო (indecent) მასალის დილის 6 სათიდან საღამოს 22 საათამდე შეზღუდვის კონტროლი დაჯარიმებით ან ლიცენზიის შეჩერებით. 2006 წელს აშშ-ის კონგრესმა მიიღო დადგენილება ჯარიმების 10-ჯერ გაზრდის შესახებ 32 ათასი დოლარიდან 300 ათას დოლარამდე (Broadcast Decency Act of 2005). ამის შემდეგ მაუწყებელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დანერგა პირდაპირი ტრანსლიაციების დროს 5 წამიდან 5 წუთამდე მაუწყებლობის გადავადება, რომლის დროსაც უზნეობის შემცველი მასალის ამოღება მოხდებოდა (Leon-Guerrero, 2015:299). ჯარიმების გაზრდის მიზანი განმარტებული იყო კანონმდებლების მიერ, როგორც ამერიკულ ოჯახებზე ზრუნვა, რათა ბავშვები დაცული ყოფილიყვნენ პოტენციურად დამაზიანებელი და უზნეო შინაარსისგან (Press Release, 2005).

უცენზურო (indecent) ტექსტურ და ვიდეომასალაში იგულისხმება სექსუალური ან ექსკრეტორული ორგანოების ან აქტივობების აღმწერი თანამედროვე საზოგადოების სტანდარტებით აშკარად ან უხეშად შეურაცხმყოფელი მასალა, ხოლო საზოგადოებრივ სტანდარტებში იგულისხმება საშუალო მაყურებლის ან მსმენელის პოზიცია (Steiner, 2015). როგორც ვხედავთ, ამერიკული სტანდარტი საზოგადოებრივ თვალსაზრისს, პრაქტიკულად, საზოგადოებრივი მორალის ნორმას ეყრდნობა.

სატელევიზიო მაუწყებლობის რეგულირების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ასევე ფილმების და სატელევიზიო გადაცემების ასაკობრივი კლასიფიკაციის სისტემა (Classification and Rating Rules 2010:7), რომელსაც კინოინდუსტრიის წარმომადგენლების მიერ შექმნილი თვითრეგულირების ორგანიზაცია (MPAA Motion Picture Association of America) ახორციელებს, სატელევიზიო გადაცემების კლასიფიკაციას კი თვითონ ტელეკორპორაციები ახდენენ ამ სტანდარტების გათვალისწინებით. კლასიფიკაციის ეს სისტემა საკმაოდ მკაცრ კრიტერიუმებს აწესებს ქართულ და ევროპულ ანალოგებთან შედარებით. როგორც მიუთითებენ მკვლევრები, ამერიკული სტანდარტები სიშიშვლის შეზღუდვის შესახებ ბევრად მკაცრია და ევროპაში ღიმილსაც კი იწვევს (Mendel, 2011:30), რადგან სიშიშვლე აშშ-ში 13 წლის

მოზარდებისთვის შეუფერებელ მასალად მიიჩნევა, ხოლო სექსუალური ხასიათის სიშიშვლე კი – 17 წლამდე შეზღუდულ მასალად; სექსუალურ სფეროსთან დაკავშირებული ბილწსიტყვაობის ერთზე მეტი სიტყვის შემცველი ფილმი ასევე 17 წლამდე შეზღუდულ კატეგორიაში ხვდება; საქართველოში კი სიშიშვლე ყველა ასაკისთვის დაშვებულ კატეგორიად მიიჩნევა, მხოლოდ სექსუალურ კონტექსტში სიშიშვლეა შეზღუდული 15 წლიდან, ასევე ბილწსიტყვაობაც, თუ ის კონტექსტით გამართლებულია, მიიჩნევა 15 წლიდან დასაშვებ მასალად, (იხილე „საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ" მუხლი 56-მეორე, მეორე პუნქტის ბ) და გ) პუნქტები).

აშშ-ში ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს კომუნიკაციების კომისიას სატელევიზიო მაუწყებლობაში უცენზურო მასალის დემონსტრირებასთან დაკავშირებით, შემდეგ კი – სასამართლოს საჩივრით, როდესაც საქართველოში მხოლოდ დაინტერესებული პირის საჩივარს იღებენ, რაც ნიშნავს, რომ მან უნდა დაადასტუროს, რომ პირდაპირი და უშუალო ზიანი მიადგა (საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი მეორე, პუნქტი ე).

საქართველოში 2003 წლიდან უნდა დამკვიდრებულიყო მაუწყებლობის შინაარსობრივი რეგულირების მოდელი, რაც გულისხმობდა, აშშ-ის მოდელის ანალოგიურად, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ მაუწყებელთა დაჯარიმებას ფინანსური სანქციით არასრულწლოვანთა შეუფერებელი მასალების დღის საათებში ჩვენებისათვის. ამ სქემამ მხოლოდ რამდენიმე თვე იმუშავა, რადგან 2005 წლიდან იწყება კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა მაუწყებლებისთვის ნაკლებშემზღუდველი პირობების შექმნის მიზნით. შეჩერდა არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონი 2005 წელს სამაუწყებლო ქცევის კოდექსის მიღების საბაბით. 2009 წელს კი საქართველოში უკვე არა მხოლოდ ჯარიმები გააუქმეს კანონის დარღვევისათვის, არამედ ტელეკომპანიის გადაცემის გასაჩივრებაც კი აიკრძალა ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, კომუნიკაციების კომისიასა და სასამართლოში (მაუწყებლობის კანონის 59-ე პრიმა მუხლი).

2009 წელს კომუნიკაციების კომისიამ სატელევიზიო გადაცემის გასაჩივრების შესაძლებლობა თვითონ მაუწყებლებთან შექმნა და კომუნიკაციების კომისიის ფუნქცია ისე გადასცა თვითონ მაუწყებლებს, რომ დაჯარიმება საერთოდ გააუქმა. ტელეკომპანიაშივე ხდება საჩივრის შეტანა ეგრეტ წოდებულ „თვითრეგულირების ორგანოში", რომლის გადაწყვეტილება ისევ ტელეკომპანიასთან არსებულ სააპელაციო ორგანოში შეიძლება გასაჩივრდეს.

საყურადღებოა, რომ საქართველოში არასრულწლოვანთა შეზღუდული მასალის ტრანსლირების წყალგამყოფი 20 საათიდან იწყება, როდესაც აშშ-

ში – 22 საათიდან. საქართველოს მაუწყებელთა კოდექსით, ნებადართულია დღის საათებში გვამების, დაჭრილთა წამების და ტანჯვის 15 წამის ხანგრძლივობის სცენების თავისუფლად ჩვენება (მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციებით განსაზღვრულ მორალის დაცვის სტანდარტის აღიარებას ბევრი ქვეყანა შესაბამისი მუხლების კონსტიტუციაში დაფიქსირებით ადასტურებს, იმავე მეთოდს იყენებს საქართველოს მთავრობაც, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციაში ლეგიტიმური მიზნების ჩამონათვალში ვერ ნახავთ საზოგადოებრივ მორალს (იხილე საქართველოს კონსტიტუცია, მუხლები მე-15, მე-16, მე-17, მე-18).

ევროკავშირის ვენეციის კომისიამ 2017-2018 წლებში სამჯერ შესთავაზა საქართველოს პარლამენტს კონსტიტუციაში მორალის, როგორც ლეგიტიმური მიზნის დაფიქსირება ევროპული სტანდარტის შესაბამისად, მაგრამ საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა რეკომენდაციები (Georgia Draft opinion 2017:10, Georgia opinion Revised 2017:14, Georgia Opinion on the draft, 2018:9) და საქართველოს კონსტიტუციაში არ ჩაიწერა „მორალი“ ლეგიტიმური მიზნების ჩამონათვალში ევროპული ტრადიციის შესაბამისად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფრო შორს მიდის და თვლის, რომ საქართველოში ზნეობის ნორმების დადგენაც კი სირთულეს წარმოადგენს: „ზნეობრიობის საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა უარყოფით ეფექტს იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე იმდენად, რამდენადაც, უმეტეს შემთხვევაში, ძნელია ობიექტურად იმის განსაზღვრა, რა შეესაბამება ზნეობრივ ნორმებს და რა – არა. ასეთი საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა გამყინავ ეფექტს იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე და შედეგად დააზარალებს მთლიანად საზოგადოებას“ (საქართველოს მოქალაქეები ყიფიანი და უნგიაძე პარლამენტის წინააღმდეგ, 2010:17).

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუცია, განსხვავებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლისგან, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლად არ ითვალისწინებს მორალის დაცვას. შესაბამისად, ორგანიზაცია თვლის, რომ ამ თვალსაზრისით საქართველოში გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური სტანდარტი ახლოსაა გამოხატვის თავისუფლების ამერიკულ მოდელთან და მაღალია ზოგადევროპულ სტანდარტზე (სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, 2019:22).

როგორც ვნახეთ, ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებში უხამსობისა და უზნეობის დადგენა საზოგადოების მორალური სტანდარტების შესაბამისად ხდება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კი

საერთოდ ზნეობის საკითხებზე მსჯელობას მიზანშეუწონლად მიიჩნევს სასამართლოში. ამერიკის შეერთებულ შტატებში საზოგადოებრივი მორალის სტანდარტების გათვალისწინებას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების გამკაცრება თვალსაჩინოა 2006 წლიდან, როდესაც საქართველოში იმავე პერიოდიდან საპირისპირო პროცესი – ჯარიმების გაუქმება და სახელმწიფოს რეგულირების პრაქტიკულად გაუქმება ხდება სასამართლოში მიმართვის აკრძალვის შედეგად. საქართველოს კომუნიკაციების კომისიის ტაქტიკაც უმეტესად მიმართულია ისევ სამაუწყებლო ინდუსტრიის ინტერესების დაცვაზე, რადგან, ხედავს რა მაუწყებელთა და მედიის უფლებადამცველ ორგანიზაციათა კატეგორიულ წინააღმდეგობას, ისევ ევროპის საბჭოს მიმართავს, რათა მაუწყებელთა თვითრეგულირებაში დატოვოს შინაარსობრივი რეგულირების ის სფეროები, რომელშიც სახელმწიფოს ჩარევა დაშვებულია თვითრეგულირების არაეფექტურობის დროს (ქავთარაძე, 2019).

ამრიგად, აშშ-ის სატელევიზიო მაუწყებლობის სფეროში როგორც კანონმდებლობის, ასევე საზოგადოებრივი დისკურსისა და პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ უმთავრესი პრიორიტეტი ენიჭება საჯარო ინტერესს გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში, კერძოდ, საზოგადოების ზნეობრივი სტანდარტების გათვალისწინებას და დაცვას. ქართული კანონმდებლობისა და მედიის დისკურსის ანალიზი კი აჩვენებს, რომ გამოხატვის თავისუფლების „ამერიკული“ სტანდარტის დაცვის საბაბით, პრიორიტეტი ენიჭება ზოგადად ბიზნესის, კერძოდ კი, სამაუწყებლო ინდუსტრიის ინტერესებს, შედეგად, საჯარო ინტერესის დაცვა შეფერხებებით ხორციელდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, http://www.parliament.ge/uploads/other/117/117377.pdf ნანახია 30.11.2019. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792, ნანახია 30.11.2019.
2. მომხმარებელთა ინტერესების დამცველის საქმიანობის ანგარიშები 2014-2017 http://momkhmarebeli.gncc.ge/წლიური-ანგარიში/, ნანახია 30.11.2019.
3. მომხმარებელთა ინტერესების დამცველის საქმიანობის ანგარიში, 2017, http://momkhmarebeli.gncc.ge/wp-content/uploads/2019/10/2017-wlis-angariSi-1.pdf ნანახია 30.11.2019.
4. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, 2 აპრილი, 2019, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა,https://gdi.ge/uploads/other/0/948.pdf ნანახია 30.11.2019საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=54 ნანახია 30.11.2019.

5. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის ანგარიში,https://www.gncc.ge/uploads/other/3/3706.pdf ნანახია 30.11.2019.
6. საქართველოს კონსტიტუცია 23.03.2018, https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0 ნანახია 30.11.2019.
7. საქართველოს მოქალაქეები ყიფიანი და უნგიაძე პარლამენტის წინააღმდეგ 2009, http://constcourt.ge/uploads/other/0/476.doc ნანახია 30.11.2019.
8. ქავთარაძე ლაშა. ევრო დირექტივა თუ ცენზურის საფრთხე, 17.06.2019 https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/73009-evro-direqtiva-thu-cenzuris-safrthkhe-cvlilebebi-mautsyeblobis-shesakheb-kanonshi ნანახია 30.11.2019.
9. Broadcast Decency Act of 2005, Pub. L. No. 109-235, 120 Stat. 491 (amending 47U.S.C. § 503(b)(2)). ნანახია 30.11.2019https://www.congress.gov/109/crpt/hrpt5/CRPT-109hrpt5.pdf ნანახია 30.11.2019.
10. Gap Analysis and Legislative action plan – Audiovisual Media Services Directive. Grant Thornton Advisory , 2019. https://www.gncc.ge/uploads/other/2/2522.pdf p.19 ნანახია 30.11.2019Georgia opinion Revised Constitution, 19 June 2017. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2018)005-e ნანახია 30.11.2019.
11. Georgia Draft opinion on the Draft revised Constitution 22 September 2017 ნანახია 30.11.2019https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2017)006-e ნანახია 30.11.2019.
12. Georgia Opinion on the draft constitutional amendments, 16 March 2018 https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2018)005-e ნანახია 30.11.2019.
13. Classification and Rating Rules 2010 Motion Picture Association of America, Inc. California https://www.filmratings.com/content/downloads/rating–rules.pdf ნანახია 30.11.2019.
14. Holohan Matthew C. Politics, Technology, & Indecency: Rethinking Broadcast Regulation in the 21st Century, Berkeley Technology Law Journal , V20, iss 1 . 2005, https://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1526&context=btlj ნანახია 30.11.2019
15. Mendel, Toby; Salomon, Eve, The Regulatory Environment for Broadcasting: An International Best Practice Survey for Brazilian stakeholder. Unesco, 2011 https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000191622 ნანახია 30.11.2019.
16. Leon-Guerrero A. Social Problems: Community, Policy, and Social Action, 2015, Sage Press Release, The White House, President Signs the Broadcast Indecency Enforcement Act of 2005 (June 15, 2006), http://www.whitehouse.gov/news/releases/2006/06/20060615-1.html. ნანახია 30.11.2019.

17. Proposed Georgian defamation law 'puts freedom of speech at risk', 18 January 2019, https://oc-media.org/proposed-georgian-defamation-law-puts-freedom-of-speech-at-risk/ ნანახია 30.11.2019.
18. Steiner R. Community Standards, 2015, https://www.mtsu.edu/first-amendment/article/901/community-standards ნანახია 30.11.2019.

Standards of Morality and Priorities of TV Media Regulation in US and Georgia

Giorgi Kipiani

Iven Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Psychology and Educational Sciences, Associate Professor

Abstract

Article attempts to compare legal approach and practice of TV media regulation in the United States and Georgia. Analysis of decisions of U.S. Supreme Court and Georgian Constitutional Court concerning community standards for broadcast indecency and regulatory measures shows differences in balance of media freedom and public interest protection.

Georgian media advocacy groups state that in Georgia very high standard of free speech has been set, which equals the American standard, therefore discussing European standards are not relevant and best practices of European co-regulation are neglected. Meanwhile, increase in amount fines for breaches in cases of indecency, introduction of broadcasting blocking mechanisms and time-delay systems indicate high importance of public interest and protecting community moral standards in United States TV media regulation. Analysis shows that in the legal framework of Georgia priority is given to universalistic principles, public morality as legitimate aim is seen as a threat to media freedom. Changes in regulatory measures aimed at procuring media freedom indicate extrime shift towards the exclusion of state involvement and implementation of full self-regulation.